სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39997686375922

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221705021

რეგისტრაციის თარიღი

14.12.2022 წ

ნოტარიუსი: ნინო სალაძე

მისამართი: თბილისი, ც. დადიანის #105

ტელეფონი: 2 660 383

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაორი წლის თოთხმეტი დეკემბერრი

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №105, გამოცხადდა: შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს (რეგისტრირებული **22/11/2019** წელს, საიდენტიფიკაციო № **405365714**) დირექტორი დავით ბიძინაშვილი (დაბადებული 16/02/1993 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ჯავის I შეს. 11, პირადი №01019032019) და განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს გიორგი გამყრელიძეს (დაბადებული: 27.10.1994 წელს, პირადი ნომერი 01017041896). მან განაცხადა რომ სურს შეადგინოს მინდობილობა და მოითხოვა ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე, უფლებამოსილება შევამოწმე ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე განვუმარტე სამართლებრივი შედეგები, მან თავადაც წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს

მინდობილობა

მე, შ.პ.ს. "ეკო გრუპი"-ს (რეგისტრირებული **22/11/2019** წელს, საიდენტიფიკაციო № **405365714**) დირექტორი დავით ბიძინაშვილი (დაბადებული 16/02/1993 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ჯავის I შეს. 11, პირადი №01019032019), უფლებამოსილებას ვანიჭებ, გიორგი გამყრელიძეს (მონაცემები მოცემულია ზემოთ), მასზედ რომ მან აწარმოოს ჩემი როგორც საზოგადოების დირექტორის სახელით ქ. თბილისში, ც. დადიანის 33, ქალაქი თბილისი, ქუჩა ზაქრაძე, 32, ქალაქი თბილისი, ზაქრაძე 30, ქალაქი თბილისი, ც. დადიანის 35_ში მდებარე საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.16.02.001.007) პროექტის შეთანხმება, ნებისმიერი ნებართვების მოთხოვნა/მიღება/მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები. აღნიშნულთან დაკავშირებით იგი უფლებამოსილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებითა და წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოებში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ არქივში, ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, კერძო ექსპერტთან, ნებისმიერ კომუნალურ მომსახურების სამსახურებში (ელექტრო, წყლის, გაზის, ინტერნეტ, ტელვიზიის, სატელეფონო, დასუფთავების და სხვა) ფიზიკურ და ურიდიულ პირებთან ურთიერთობაში.. შეიტანოს განცხადებები, აწარმოოს პროექტის შედგენა, კორექტირება, მშენებლობის პროექტის შეთანხმება, ნებისმიერი ნებართვების მოთხოვნა, მიღება, გასცეს თანხმობები, აწარმოოს ელექტრონულად ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაციის ატვირთვა, აწარმოოს ექსპლოატაციაში მიღება, დაკანონება, მოაწეროს ხელი ჩემი როგორც დირექტორის სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან. მინდობილობა, გაცემულია და ძალაშია ორიათას ოცდასამი წლის თოთხმეტი დეკემბრის ჩათვლით. მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელსაც ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და წესდების ასლი. გადახდილია სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 30.00 (ოცდაათი) ლარი + დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) + ასევე 5 (ხუთი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მოქმედებს: დავით ბიძინაშვილი

ნოტარიუსი ნინო სალაძე